ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ც. ო.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.06.2015
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 048/15
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – კ. ს. /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ კ. ს.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 17 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ბრალდებულმა ც. ო.-მა (წარმომადგენელი ლ. ქ.) და მოითხოვა ადვოკატ კ. ს.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას სამოქალაქო დავა აქვს თ. ჩ.-სთან. სამოქალაქო დავაში მის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ლ. ქ., ხოლო მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის თ. ჩ.-ის ინტერესების დამცველია ადვოკატი კ. ს.

1.3 2014 წლის 13 ნოემბერს კ. ს. ამოწერა ორდერი N20 ც. ო.-ს სახელზე. აღნიშნული ორდერის საფუძველზე ადვოკატმა, თითქოს ც. ო.-ს დამცველმა, განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების №17 დაწესებულებას და მოითხოვა ც. ო.-ს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის ასლი, ასევე, ინფორმაცია, შეეხო თუ არა ც. ო.-ს ამნისტია.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა კ. ს. მოტყუებით მიიღო მისი პირადი ინფორმაცია და გადასცა მესამე პირს. ასევე საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ კ. ს. განაჩენის ასლი მიიღო კანონსაწინააღმდეგო ქმედებით და ყალბი ორდერით.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა კ. ს. კანონის დარღვევით მოიპოვა მისი მარწმუნებლის შესახებ ინფორმაცია. ადვოკატ კ. ს.-ს უკანონო ქმედებაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. წარმომადგენელი ადასტურებს ც. ო.სა და თ. ჩ.-ის

შორის სამართლებრივი დავის არსებობას და განმარტავს, რომ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო წესით.

1.6 მეოთხე კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 29 იანვარს. მომჩივანი, მსჯავრდებული ც. ო. სხდომაზე არ გამოცხადდა და, ასევე, მისი სურვილით, სხდომას არ დასწრებია მისი წარმომადგენელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა კ. ს. წერილობითი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2015 წლის 21 ივლისს. ადვოკატის განცხადებით, იგი იცავს მისი კლიენტის-თ. ჩ.-ის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე საცხოვრებელი ბინიდან უკანონოდ გამოსახლების თაობაზე.

2.2 ადვოკატი კ. ს. სადაოდ ხდის ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის ნამდვილობას. მისი აზრით გაურკვეველია თუ ვინ არის საჩივრის ავტორი, ასევე ადვოკატი კ. ს. სადაოდ ხდის ხელმოწერის ნამდვილობასაც და მიუთითებს, რომ არ არის დადასტურებული ნამდვილად ც. ო.-საა თუ არა ხელმოწერა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტისათვის პოლიციის მიერ გამოსახლების შესახებ გაფრთხილების გადაცემის შემდეგ, მან გაასაჩივრა გაფრთხილება შინაგან საქმეთა სამინისტროში და ასევე, შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა, მოსამართლემ გამოიტანა განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, სადაც აღინიშნა, რომ სარჩელში უნდა მითითებულიყო მოპასუხე და, ასევე, თუ სასჯელაღსრულების რომელ დაწესებულებაში იმყოფებოდა ის.

2.4 ადვოკატის განმარტებით, თ. ჩ.-მ მიმართა განცხადებით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, ამის მიზეზი იყო ის, რომ თ. ჩ.-მ ც. ო.ს-გან მიიღო მუქარის წერილი, სადაც ო. ითხოვდა ყოველთვიურ ქირას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2.5 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მან 2015 წლის 02 მარტს მისი მარწმუნებლის სახელით განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს თუ სად იხდიდა სასჯელს მსჯავრდებული ც. ო.. ვინაიდან ც. ო. იმყოფებოდა რუსთავის სასჯელაღსრულების №17 დაწესებულებაში, მან სწორედ ამ დაწესებულებას მიმართა ოფიციალური ცნობის მოსაპოვებლად. ადვოკატ კ. ს.-ს განმარტებით, მან დაწერა განცხადება იმ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რომ მსჯავრდებული ც. ო. იმყოფებოდა სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში, თუმცა, კანცელარიაში განუცხადეს, რომ საჭირო იყო მსჯავრდებულზე ერთჯერადი დაცვის ორდერის გამოწერა და მითითება, რომ კ. ს. იცავდა ც. ო.-ს ინტერესებს, იმისათვის, რომ მას გადასცემოდა მსჯავრდებულის საქმეზე სასამართლოს განაჩენის ასლები. ადვოკატი კ. ს. აღნიშნავს, რომ მას არ სურდა მითითებული მოქმედების განხორციელება, თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულების კანცელარიაში განუმარტეს, რომ ეს არ იქნებოდა კანონის დარღვევა და ორდერის ამ ვითარებაში გამოწერა.

2.6 ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ იგივე მიზნის მიღწევა, რაც მიღწეულ იქნა ც. ო.-ს სახელზე ორდერის გამოწერის შედეგად, შესაძლებელი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებისათვის წერილობითი მიმართვის საფუძველზეც, თუმცა, ვინაიდან სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად ჰქონდა მცირე დრო, ამიტომ აირჩია ორდერის გამოწერის გზა. ადვოკატმა

განმარტა, რომ მან არ იცოდა მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ადასტურებს გამომძიებლის მიერ მისი მოწმის სტატუსით დაკითხვის ფაქტს.

2.7 მეოთხე კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 29 იანვარს. სხდომაზე გამოცხადდნენ ადვოკატი კ. ს. და მისი წარმომადგენელი. კ. ს. დაეთანხმა მის მიერ უკვე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს და დამატებით, განაცხადა, როგორც თ. ჩ.-ის წარმომადგენელმა მიმართა სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რაზეც დადგინდა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განისაზღვრა სამი დღე განჩინების ჩაბარებიდან. მას მოეთხოვა წარმოედგინა ც. ო.-ს, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგის საიდენტიფიკაციო მონაცემები. თ. ჩ.-მ არ იცოდა ც. ო.-ს აღიშნული მონაცემები და ვერც საჯარო რეესტრიდან მოიპოვა ინფორმაცია.

2.8 ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა პარასკევ დღეს, ხოლო ხარვეზის გამოსასწორებლად ჰქონდა სამი დღის ვადა. ვინაიდან შემდეგი დღეები იყო შაბათი და კვირა, მას მხოლოდ ერთი დღე - ორშაბათი რჩებოდა ხარვეზის გამოსწორების ვადად. თუმცა, ადვოკატის განცხადებით, მას აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია.

2.9 ადვოკატის განმარტებით, იგი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში თ. ჩ.-ის მინდობილობით, ორშაბათ დღეს. მოიკითხა, სად იხდიდა სასჯელს ც. ო.. დეპარტამენტში ადვოკატს განუმარტეს, რომ ც. ო. სასჯელს იხდიდა რუსთავში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. კ. ს.-ს განმარტებით, იგი გამოცხადდა რუსთავში, სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებაში, თ. ჩ.-ის მინდობილობით. ადვოკატს განუმარტეს, რომ ც. ო. ამავე დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მას სურდა მიეღო ცნობა, რომ ც. ო. სწორედ აღნიშნულ დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს და, ასევე, სურდა მიეღო განაჩენის ასლი. კ. ს. განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ იგი არ იყო ც. ო.ს ადვოკატი, მაგრამ სჭირდებოდა აღნიშნული ინფორმაცია და აინტერესებდა მისი მიღების გზა. ადვოკატს განუმარტეს, რომ უნდა გამოეწერა ერთჯერადი ორდერი და მიიღებდა განაჩენის ასლს.

2.11 ადვოკატის განმარტებით, იგი ხვდება, რომ ორდერის გამოწერის უფლება არ ჰქონდა, თუმცა, დროში იყო შეზღუდული და იმ მომენტში მიზანშეწონილად მიიჩნია მსგავსი ქმედების განხორციელება. ასევე, მან იცის, რომ შედეგის მისაღებად შეეძლო სხვა სახის იურიდიული ქმედებების განხორციელება. რაც შეეხება დოკუმენტს, მასზე არსებული ბლანკი და ბეჭედი თავად კ. ს., შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, მას დოკუმენტი არ გაუყალბებია. ასევე, მისი მოსაზრებით, ქმედება ც. ო.-სათვის საზიანო არ ყოფილა, ვინაიდან მოხდა მხოლოდ განაჩენის ასლის მიღება.

2.12 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, კ. ს.-ს ქმედება იყო თავდადება კლინტის მიმართ. შესაძლებელია დაფიქსირდა გადაცდომა, მაგრამ ეს არ იყო სერიოზული.

2.13 ადვოკატმა კ. ს. ეთიკის კომისიაში დამატებითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 05 აპრილს. ადვოკატის განცხადებით, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 20 თებერვლის პასუხში დაფიქსირებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ც. ო.-ს განცხადების საფუძველზე დაწყებულ გამოძიებაში არ არსებობს დაზარალებულად ცნობილი პირი და არ არის აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუთითებს, რომ საქმეზე არ შეიკრიბა საკმარისი მტკიცებულებები და, მისი მოსაზრებით, არ არსებობს დანაშაული. კ. ს.-ს მიერ გამოწერილი ორდერი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

3. **მოწმე თ. ჩ.-ის პოზიცია:**

თამარ ჩიკვილაძე მოწმის სახით გამოიკითხა ადვოკატ კ. ს.-ს შუამდგომლობის საფუძველზე 2016 წლის 18 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. მოწმე არის ადვოკატ კ. ს.მარწმუნებელი. მოწმემ დაადასტურა, რომ მას აქვს სამართლებრივი დავა ბრალდებულ ც. ო.-თან და ადვოკატი კ. ს. მოქმედებდა მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

4 **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

4.1 2017 წლის 10 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ კ. ს.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა კ. ს. ორდერი გამოწერა მსჯავრდებულ ც. ო.-ს სახელზე, 2014 წლის 13 ნოემბერს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მიიღო ც. ო.-ს საქმის მასალები და გამოიყენა თავისი კლიენტის, თ. ჩ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

5 **საქმის ფატობრივი გარემოებები:**

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი კ. ს. წარმოადგენდა თ. ჩ. ინტერესებს 2014 წლის სექტემბრიდან, ექვსი თვის ვადით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თ. ჩმიერ გაცემული, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, ადვოკატ კ. ს. სახელზე.

2. ადვოკატ კ. ს.ორდერი, გაცემული თ. ჩ. ინტერესების დასაცავად.

5.1.2 ადვოკატმა კ. ს., როგორც თ. ჩ. წარმომადგენელმა მიმართა სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რაზეც დადგინდა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განისაზღვრა სამი დღე განჩინების ჩაბარებიდან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება. (20.11.2014, საქმე №651467-14)

5.1.3 ადვოკატმა კ. ს. გამოწერა ორდერი ც. ო.-ს ინტერესების დაცვის თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ კ. ს. ორდერი, გაცემული ც. ო.-ს ინტერესების დასაცავად.

5.1.4 ადვოკატ კ. ს. დაცვის ქვეშ მყოფი თ. ჩ. და ც. ო. წარმოადგენდნენ საქმეში პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ კ. ს. 2014 წლის 07 ნოემბრის მიმართვა საქართველოს სახალხო დამცველს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მთავარი სხდომის ოქმი. (06.11.2015)

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. (29.06.2016)

5.1.5 ადვოკატმა კ. ს., მისი გამოწერილი ორდერის საფუძველზე, მოითხოვა ც. ო.-ს, როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის განაჩენის ასლი და განჩინებების ასლები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ კ. ს. 2014 წლის 13 ნოემბრის მიმართვა რუსთავის მე-17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს.

5.1.6 ადვოკატმა კ. ს. განცხადების საფუძველზე მიიღო ც. ო.-ს საქმეში განაჩენისა და განჩინებების ასლები, დამოწმებული სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

რუსთავის მე-17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 13 ნოემბრის პასუხი ადვოკატ კ. ს.-ს.

5.1.7 ადვოკატმა კ. ს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენა მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, გამოასწორა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, დააზუსტა სარჩელი და მიმართა სასამართლოს, რის შემდეგაც დაიწყო საქმისწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ კ. ს. ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება; (20.11.2014, საქმე №651467-14)
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მთავარი სხდომის ოქმი. (06.11.2015)
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. (29.06.2016)

5.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს სადავო გარემოებები.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ კ. ს. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ კ. ს. მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

7.2 განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41–ე მუხლის თანახმად ,,ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. ... ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ მოცემულ შემთხვევაში, ორივე მხარე აღნიშნავს, ადვოკატი კ. ს. ც. ო.-ს ინტერესების დასაცავად მოწვეული არ იყო არც მსჯავრდებულის და არც მისი ახლო ნათესავის ან სხვა პირის მიერ.

7.3 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,გამოძიების ორგანოში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.“

7.4 ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია გამოძიების ორგანოსა და სასამართლოში საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი.

7.5 ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელზე ორდერის გამოწერა გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულ პირს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას იმოქმედოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად.

7.6 ადვოკატი როგორც წესი ორდერს გამოწერს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც კლიენტის, დავალების შესასრულებლად და მისი ინტერესების დაცვის მიზნით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

7.7 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე №044/10/ განმარტა, რომ ,,კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვასა და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების შეფასების საფუძველზე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი პირების მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების დადება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის თაობაზე მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავდებულის ინტერესების დაცვას."

7.8 ადვოკატმა კ. ს. 2014 წლის 13 ნოემბერს N17 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში წარსადგენად ამოწერა ორდერი N20, რომლის თანახმად ადვოკატს ევალებოდა მსჯავრდებულ ც. ო.-ს დაცვა. იმავე დღეს, ადვოკატმა კ. ს., ორდერის საფუძველზე განცხადებით მიმართა ქ. რუსთავის N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს და მოითხოვა ც. ო.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალების (განაჩენის ასლი დამოწმებული ბეჭდით და განჩინება ამნისტიის შესახებ) ასლების გადაცემა. დისციპლინურ საქმეში არსებული საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი კ. ს. წარმოადგენს თ. ჩადვოკატს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში, სადაც თ. ჩ. პროცესუალური მოწინააღმდეგეა ც. ო.

7.9 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2015 წლის 09 ივნისის წერილის მიხედვით ადვოკატ კ. ს. მიერ ორდერის გამოწერის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ადვოკატმა, 2016 წლის 18 ივლისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა მისი მოწმის სტატუსით დაკითხვის ფაქტი.

7.10 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ, ეთიკის კომისიის მიმართვაზე, 2018 წლის 20 თებერვლის პასუხის შესაბამისად, ც. ო.-ს განცხადებასთან მიმართებით, ადვოკატ კ. ს. მიერ შესაძლო ყალბი დოკუმენტის დამზადება, გამოყენების ფაქტზე გამოძიების ამ ეტაპზე კონკრეტული პირი არ არის ცნობილი დაზარალებულად, ასევე, არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა.

7.11 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ კ. ს. ორდერის საფუძველზე წარმოეშვა ც. ო. ს ინტერესების დაცვის ვალდებულება, თუმცა ადვოკატ კ. ს. მიერ ც. ო.-ს სახელზე გამოწერილ ორდერს ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, მიზნად არ ისახავდა ც. ო.-ს ინტერესების დაცვას და ემსახურებოდა თ. ჩ. ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. აღნიშნული გარემოება ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის

სხდომაზე 2016 წლის 18 ივლისს მოცემული ახსნა-განმარტებით დაადასტურა. აღნიშნული ორდერის ამოწერის რეალურ მიზანს წარმოადგენდა არა მსჯავრდებულ ც. ო.-ს ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ ორდერის საფუძველზე ადვოკატ კ. ს. კლიენტის, თ. ჩ. სამოქალაქო საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება.

7.12 2018 წლის 29 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა კ. ს. დაადასტურა საქმეში არსებული გარემოებები და აღნიშნა, რომ ორდერის გამოწერის უფლება არ ჰქონდა, თუმცა, დროში იყო შეზღუდული და იმ მომენტში მიზანშეწონილად მიიჩნია მსგავსი ქმედების განხორციელება. ასევე, მან იცის, რომ შედეგის მისაღებად შეეძლო სხვა სახის იურიდიული ქმედებების განხორციელება. რაც შეეხება დოკუმენტს, მასზე არსებული ბლანკი და ბეჭედი თავად კ. ს.-ია, შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, მას დოკუმენტი არ გაუყალბებია. ასევე, მისი მოსაზრებით, ქმედება ც. ო.-სათვის საზიანო არ ყოფილა, ვინაიდან მოხდა მხოლოდ განაჩენის ასლის მიღება. კ. ს. და მისი წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და იღებს პასუხისმგებლობას.

7.13 კოლეგიამ ადვოკატის მოქმედება შეაფასა კლიენტის (ორდერის თანახმად ც. ო.-ს) ინტერესებზე მაღლა სხვა პირის (სხვა კლიენტის - თ. ჩ.-ის) ინტერესების დაყენებად, რაც არ შეესაბამება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლს.

7.14 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც უზენაესმა სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას, ასევე, ადვოკატის მიერ საკუთარი ქმედების გაცნობიერებისა და მასზე პასუხისმგებლობის აღების ფაქტი და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ კ. ს. მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.15 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 048/15 ადვოკატ კ. ს. /სიითი N/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

III დისციპლინური კოლეგიის წევრის, ირაკლი კორძახიას
განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №048/15 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომელთა მიერ №048/15 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატ კ. ს. მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე (შემდგომში *„გადაწყვეტილება“*) და აღვნიშნავ, რომ სრულად ვეთანხმები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ კ. ს. მიერ დისციპლინური გადაცდომის დადგენაში, თუმცა მაქვს განსხვავებული აზრი ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესთან დაკავშირებით.

1. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეებს, თუმცა არ ადგენს, თუ რა გარემოებები მიიღება მხედველობაში მათი შერჩევისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

2. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების (შემდგომში „დებულება“) 2.5 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. *დებულება* არ განსაზღვრავს, რა გარემოებები გაითვალისწინება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებისას. რადგან დისციპლინური ღონისძიება უფრო მსუბუქი საშუალებაა ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახდელთან შედარებით, ეთიკის კომისიამ იმის შესაფასებლად, თუ რომელი მათგანი უნდა გამოიყენოს, უნდა გამოიყენოს დებულების 2.5 მუხლით დადენილი კრიტერიუმები.
3. სახდელების გამოყენებისას პროპორციულობის პრინციპის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში გ. ქ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ, ვრცელი განმარტება მიუძღვნა სახდელების შერჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებს და მიუთითა, რომ: *„ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისთვის დადგენილი სახდელი ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია, ამასთან, მხედველობაში მისაღებია მანამდე არსებული პრაქტიკა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.“*
4. ზემოაღნიშნულიდან, ასევე, გამომდინარეობს, რომ როდესაც პროპორციულობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მისაღები გარემოებები არსებითად განსხვავდება სხვადასხვა საქმეებში, გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომაც სხვადასხვანაირი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასევე, დაირღვევა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის პრინციპი.
5. მოცემულ შემთხვევაში, *გადაწყვეტილებაში* მართებულად მითითებულია ეთიკის კომისიის მანამდე არსებულ პრაქტიკაზე - 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №044/10, სადაც ეთიკის კომისიამ ასევე დაადგინა ორდერის გამოწერისას კანონიერების პრინციპის და კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების დარღვევა.
6. მითითებულ შემთხვევაში ადვოკატმა გამოწერა ორდერი და შევიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხვა ადვოკატის კლიენტთან შესახვედრად იმ მიზნით, რომ ამ პირს ეშუამდგომლა თავის ადვოკატთან, რათა ის დახმარებოდა ორდერის გამომწერი ადვოკატის კლიენტს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამკურნალოდ გადასაყვანად.
7. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი გარემოებებია:

7.1. პირი არ იყო დაპირისპირებული ადვოკატის კლიენტთან;
7.2. კანონიერების პრინციპის დარღვევით გამოწერილი ორდერით ადვოკატს არ მოუპოვებია და გაუმჟღავნებია სხვა პირის პერსონალური მონაცემები;
7.3. ადვოკატს არც ამ პირის წინააღმდეგ განუხორციელებია რაიმე მოქმედება;
7.4. ადვოკატს არ უღიარებია, რომ მან ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

8. ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

9. *გადაწყვეტილებაში* განხილულ შემთხვევაში, ადვოკატმა კ. ს., კანონიერების და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დარღვევით 2014 წლის 13 ნოემბერს N17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წარსადგენად N20 ორდერის გაცემის შედეგად:
9.1. მოითხოვა და მიიღო ც. ო.-ს განაჩენის ასლი დამოწმებული ბეჭდით და განჩინება ამნისტიის შესახებ (*გადაწყვეტილების 5.1.6 პარაგრაფი*). პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 2(ბ) მუხლის შესაბამისად, ნასამართლეობასთან დაკავშირებული მონაცემები მიეკუთვნება განსაკუთრებულ კატეგორიას, რომელთა დამუშავება კანონის 6.1. მუხლის საფუძველზე, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე აკრძალულია, გარდა კანონის 6.2 მუხლით დადგენილი საგამონაკლისო წესებისა. ამავე კანონის 6.3 მუხლის შესაბამისად ასეთი მონაცემის გასაჯაროება და მესამე პირისთვის გადაცემა აკრძალულია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ამ შემთხვევაში ადვოკატმა მის მიერ გამოყენებული უკანონო საშუალებით მიიღო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი და ისინი გადასცა სასამართლოს, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე. ივარაუდება, რომ ადვოკატმა ეს მონაცემები ხელმისაწვდომი გახადა მისი კლიენტისთვისაც.
9.2. მიიღო ინფორმაცია კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის თაობაზე, რითაც სარგებელი მიიღო ადვოკატის კლიენტმა - თ. ჩ, რომელსაც ის წარმოადგენდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებში ც. ო.-ს წინააღმდეგ. ორდერის გამოწერის შედეგად შეძლო ადვოკატმა ხარვეზის შევსება თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე, რადგან სარჩელში უნდა მითითებული ყოფილიყო თუ სასჯელაღსრულების რომელ დაწესებულებაში იმყოფებოდა მოპასუხე (*გადაწყვეტილება 2.3 პარაგრაფი*). აღნიშნულით დაზარალდა ც. ო.-ს ინტერესი, რადგან სხვა შემთხვევაში სარჩელი მის მიმართ არ იქნებოდა წარმოებაში მიღებული იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

10. ადვოკატის ქმედების შედეგად ც. ო.-ს ობიექტურად გაუჩნდა იმის აღქმა, რომ ადვოკატებს შეუძლიათ მოტყუებით მიიღონ მისი პირადი ინფორმაცია და გადასცენ ის მესამე პირს. ეს ადვოკატის პროფესიისთვის და მისდამი ნდობისთვის დიდი ზიანის მომტანია, რადგან საზოგადოების თვალში ადვოკატი უნდა აღქმული იყოს, როგორც კანონიერების დამცველი, მაღალი პროფესიული ეთიკის მატარებელი, რაც განაპირობებს ადვოკატისადმი ნდობას. ადვოკატი ვერ იქნება ბრმა იარაღი კლიენტის ხელში, რომელსაც შეუძლია კანონის დარღვევა, თუნდაც ეს კლიენტის იმწუთიერ ინტერესებში მოიაზრებოდეს. ეს ვერ გამართლდება „თავდადებით კლიენტის მიმართ“, როგორც ამას ადვოკატის წარმომადგენელი აცხადებს (გადაწყვეტილების 2.12 პარაგრაფი). ადვოკატთა პროფესიისადმი ნდობა კი მართლმსაჯულების გახორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ადვოკატ კ. ს.

მოქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა არამარტო ც. ო.-ს კანონით დაცულ სფეროს, ასევე დაზარალდა ადვოკატის პროფესიის აღქმა საზოგადოებაში.

11. ეთიკის კომისიის მითითებული №044/10 გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, ადვოკატმა აღიარა გადაცდომა და აღნიშნა, რომ მისი კლიენტის ინტერესების დაცვა შესაძლებელი იქნებოდა კანონიერი საშუალებითაც (2.11 პარაგრაფი), რაც აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული დისციპლინური სახდელის თუ ღონისძიების განსაზღვრისას, თუმცა ც. ო.-სთვის პირადად და ასევე ადვოკატის პროფესიისთვის მიყენებული ზიანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის გადაწონის ადვოკატის აღიარებას და იწვევს განხილული შემთხვევისგან განსხვავებით უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების საჭიროებას.
12. შესაბამისად, ვხელმძღვანელობ *დებულების* 35.2 მუხლით და მიმაჩნია, რომ დებულების 2.5 და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1.(ა) მუხლების საფუძველზე ადვოკატ კ. ს. მიმართ უნდა გამოყენებული ყოფილიყო დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით.

ირაკლი კორძახია

ეთიკის კომისიის წევრი